ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის

უფროსს ბატონ გიგა გიგაშვილს,

დამოუკიდებელ ექსპერტ გრიგოლ დეისაძის

მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასების



ა ნ გ ა რ ი შ ი

თ ბ ი ლ ი ს ი

ივნისი 2019

1. შ ე ს ა ვ ა ლ ი

ნაკვეთის მეპატრონის შპს „ალმა“ (ს/ნ 204873388) მომართვის საფუძველზე, ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მიწის ნაკვეთზე,- საკადასტრო კოდით: № 01.10.14.008.003 მისამართზე,- ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 25- არსებული მერქნიანი მცენარეები. ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, ფართით- 4061.00კვ.მ..

კვლევა ჩატარდა მიმდინარე წლის 12 ივნისს. მცენარეები შეფასებული იქნა ვიზუალურად; აიზომა; მოვახდინეთ მცენარეების ციფრული ფოტოფიქსაცია. ჩვენს მიერ შეფასდა და აიზომა მათი დიამეტრები ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ. დონეზე ხეებისათვის, სიმაღლე, სიჯანსაღე (ვიზუალური ნიშნებით დაფიქსირდა მექანიკური დაზიანება და/ან დაავადებათა არსებობა). მცენარეების მდებარეობა, ნუმერაციით, დატანილი იქნა ტოპოგეგმაზე.

2. მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

ქვემოთ ცხრილის სახით მოგვყავს ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების ნუსხა და მათი მახასიათებლები:

ნომერი ტოპო-გეგმაზე	მცენარის ქართული სახელწოდება	მცენარის ლათინური სახელწოდება	ბიომორფა	სიმაღლე მ.-ში	დიამეტრი ნად.ზედაპ.10 სმ.-ზე	პროექტიული დაფარულობა მ²	სიჯანსაღე	შენიშვნა	გადარგვის შესაძლებლობა +/-
1	ალვის ხე	Populus nigra	ხე	20	72	_	ზეხმელი	-	-
2	ალვის ხე	Populus nigra	ხე	20	97	_	ზეხმელი	-	-
3	ბოკვი	Acer velutinum	ხე	18	70	_	საღი	-	-
4	ბოკვი	Amygdalus communis	ხე	19	68	_	საღი	-	-
5	ოლეანდრა	Nerium oleander	ბუჩქი	2.5	მაქს. 5	6	საღი	დაბუჩქული	+
6	ოლეანდრა	Nerium oleander	ბუჩქი	2	3+2+2	_	საღი	დაბუჩქული 3 ღეროიანი	+
7	ცაცხვი	Tilia begoniifolia	ხე	10	26+9+9 +8+7+6 +5	_	საღი	მრავალი ამონაყარით	+
8	ბოკვი	Acer velutinum	ხე	20	67	-	საღი	_	-
9	ბოკვი	Acer velutinum	ხე	20	78	-	საღი	-	-
10	ბოკვი	Acer velutinum	ხე	20	95	-	საღი	-	-

3. დასკვნა-რეკომენდაცია

ნაკვეთზე არსებული №1 და №2 ალვის ხე არის ზეხმელი და აუცილებელია მათი მოჭრა. დანარჩენი არსებული ნარგაობა არის კარგად განვითარებული და ჯანსაღი.

გრიგოლ დეისაძე



დანართი:

ფოტოები









